ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7940937

ნომერი: AR11142809

თარიღი : 22.05.2026

გაცემის თარიღი : 29.05.2026

გაცნობის თარიღი : 01.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზურა ავალიშვილის ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ჭურაძე პ/ნ 01024075296
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 3 ბ. 33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 22 მაისს №AR11142809 განცხადებით მომართა რამაზ ჭურაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 29

აპრილის №7899793 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მესაკუთრის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილებით დაეთანხმა №01.14.14.005.116.01.01.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე არსებულ ტერასაზე შუშის მოაჯირების მოწყობის და ვიტრინების გარშემო დეკორატიული გაფორმების განხორციელების შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილებაში არასწორად იქნა დაფიქსირებული საპროექტო ფართის მესაკუთრის მონაცემები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2026 წლის 17 აპრილს №AR11138608 განცხადებით მოთხოვნილი იქნა №01.14.14.005.116.01.01.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართზე, I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებით თანხმობის მიღება. აღნიშნულ განცხადებაზე, კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი იქნა საპროექტო ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, №01.14.14.005.116.01.01.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს თიარ უძრავი ქონება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405208822). სამსახურმა, იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ და მეორე აბზაცებში, ასევე ბრძანების „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის“ - ველში ტექნიკური შეცდომის შედეგად მესაკუთრის მონაცემები არასწორად დაფიქსირდა.
სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილების გამოცემის მომენტისათვის (ისევე როგორც დღევანდელი მდგომარეობით) საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882026338928; მომზადების თარიღი: 27/04/2026წ.), №01.14.14.005.116.01.01.534 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის მესაკუთრეს წარმოადგენდა შპს თიარ უძრავი ქონება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405208822).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილებაში და:
1.1. მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი:
საკადასტრო კოდის ველში: №01.14.14.005.116 ნაცვლად დაფიქსირდეს №01.14.14.005.116.01.01.534.
მესაკუთრე(ები)-ს ველში: შპს „ჭავჭავაძის 33“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406088807) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს თიარ უძრავი ქონება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405208822).
1.2..აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლიც ეხება ქ. თბილისში, ზურა ავალიშვილის ქუჩა №8-ში, შპს თიარ უძრავი ქონების (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405208822) საკუთრებაში არსებულ ტერასაზე შუშის მოაჯირების მოწყობას და ვიტრინების გარშემო დეკორატიულ გაფორმებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.
„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დანართი 1-ის თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საკადასტრო მონაცემები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.116.01.01.534, რეგისტრაციის ნომერი: 882026338928; მომზადების თარიღი: 27/04/2026წ., არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი) ქალაქგეგმარებით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ზურა ავალიშვილის ქუჩა №8-ში, შპს თიარ უძრავი ქონების (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405208822) საკუთრებაში არსებულ ტერასაზე შუშის მოაჯირების მოწყობას და ვიტრინების გარშემო დეკორატიულ გაფორმების შესაძლებლობას.
სამუშაოები განხორციელდეს სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმის დაცვით.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 29 აპრილის №7899793 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.